შპს სულხან-საბა ორბელიანის
უნივერსიტეტი

თბილისი 16 ივლისი 2026 წ.

ბრძანება №100-26

„ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა და მექანიზმები“-ს განახლებული რედაქციით დამტკიცების შესახებ

უნივერსიტეტის დებულების მე-8 მუხლის მე-5 პუნქტის 5.2 ქვეპუნქტით, რექტორისათვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში (დებულება განახლებული რედაქციით დამტკიცებული აკადემიური საბჭოს 2023 წლის 20 ოქტომბრის №05-23 საოქმო გადაწყვეტილებით),

ვბრძანებ:

1. განახლებული რედაქციით დამტკიცდეს სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის „ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა და მექანიზმები“ და მისი დანართები ბრძანების დანართი #1-ის შესაბამისად.
2. დაევალოს უნივერსიტეტის საქმისწარმოების მენეჯერს, ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის გაცნობა.
3. ბრძანება ძალაშია მისი ხელმოწერისთანავე.

რექტორი აკაკი ჭელიძე

შპს სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი | 204426834
0186, კ. ქუთათელაძის ქ.N3, თბილისი, საქართველო
ტელ: +995 32 2422242
info@sabauni.edu.ge
www.sabauni.edu.ge

სულხან-საბა ორბელიანის
უნივერსიტეტი

დამტკიცებულია:

რექტორის #42-20 ბრძანებით, 02.04.2020

განახლებული რედაქციით დამტკიცებულია:

რექტორის #58-21 ბრძანებით; 06.04.2021

რექტორის #123-22 ბრძანებით; 27.07.2022

რექტორის #65-23 ბრძანებით; 22.03.2023

რექტორის #100-26 ბრძანებით; 16.07.2026

ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა და მექანიზმები

თბილისი

2026

პრეამბულა

გლობალიზაციამ და ტექნოლოგიურმა განვითარებამ განათლების სისტემა ინტერნაციონალიზაციის საჭიროების წინაშე დააყენა. მსოფლიოს თითქმის ყველა საგანმანათლებლო დაწესებულების დღის წესრიგში დგას ინტერნაციონალიზაციის გამოწვევა და მისი ჯეროვანი განხორციელება. ევროინტეგრაციის გზაზე საქართველოსთვის განსაკუთრებით აქტუალურია, შეუერთდეს მსოფლიო განათლების სისტემაში მიმდინარე ცვლილებებს და მაქსიმალურად შეძლოს განათლების სისტემის ევროპულთან ჰარმონიზება. შესაბამისად, განათლების ინტერნაციონალიზაცია საქართველოს მთავრობისთვისაც მნიშვნელოვანი პროცესია, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს განათლებისა და კვლევის ხარისხის გაუმჯობესებას.

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი (შემდგომში „უნივერსიტეტი"/„საბაუნი") დაარსების დღიდან ჩართულია ინტერნაციონალიზაციის პროცესში, იგი არა ერთ-ერთი პრიორიტეტი ან გამოწვევა, არამედ უნივერსიტეტის იდენტობისა და საქმიანობის განუყოფელი ნაწილია. მეტიც, ინტერნაციონალიზაცია ასახულია უნივერსიტეტის მისიაში. განათლების ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის შემუშავებისას უნივერსიტეტი აცნობიერებს, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ინტერნაციონალიზაცია შესაძლოა დაკავშირებული იყოს ხანგრძლივ პროცესებთან, როგორიცაა: სტუდენტების, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის მობილობა, ცოდნის გაზიარება, საერთაშორისო თანამშრომლობა, ტრანსნაციონალური უნივერსიტეტები, კურიკულუმის ინტერნაციონალიზაცია (გლობალური განათლება, ინტერკულტურული განათლება). ინტერნაციონალიზაციის დოკუმენტის შემუშავებისას უნივერსიტეტი ითვალისწინებს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სტრატეგიას, ავტორიზაციისა და აკრედიტაციის, ასოცირების შეთანხმებით დადგენილ ინტერნაციონალიზაციის კრიტერიუმებსა და სტანდარტს. ასევე, მხედველობაში იღებს საერთაშორისო კვლევებს (**Higher Education to 2030, Volume 1, Demography**), რომელიც ცხადყოფს, რომ ინტერნაციონალიზაციის შედეგად 2030 წლისათვის მოთხოვნა უმაღლესი განათლების მიღებაზე გაიზრდება 100 მილიონიდან 400 მილიონ ადამიანამდე.

1. მიზნები

უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის მიზანია:

ა) ხელი შეუწყოს საერთაშორისო, ინტერკულტურული სფეროს ინტეგრირების უწყვეტ პროცესს სწავლის, სწავლებისა და კვლევის მიმართულებით;

ბ) ევროპული ღირებულებების გააზრება და მათი საზოგადოებაში დამკვიდრება, გლობალიზაციისა და სხვა სახელმწიფოებისა თუ ინსტიტუტების მიღწევების გაანალიზება, გათვალისწინება და პრაქტიკაში დანერგვა;

გ) გააღვივოს საერთაშორისო უსაფრთხოების მიმართ ინტერესი;

დ) წვლილი შეიტანოს ეკონომიკური კონკურენციის გაძლიერებაში;

ე) ხელი შეუწყოს განსხვავებულ ადამიანებს შორის ურთიერთგაგებას.

2. ინტერნაციონალიზაციის ორიენტირები

უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის განხორციელება შემდეგ ორიენტირებს ეფუძნება:

ა) ორიენტირი ქმედითუნარიანობაზე - გულისხმობს კონკრეტულ მოქმედებებს, რაც უზრუნველყოფს ინტერნაციონალიზაციის პროცესში მონაწილეობას (სტუდენტებისა და პერსონალის საერთაშორისო მობილობის/გაცვლითი პროგრამების განხორციელებას კოორდინაციას გაუწევს საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური შესაბამის ფაკულტეტებთან თანამშრომლობით და პასუხისმგებელია პარტნიორ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობის გაღრმავებაზე).

ბ) ორიენტირი კომპეტენციაზე, ხარისხზე - გულისხმობს სტუდენტებსა თუ პერსონალში სხვადასხვა ტიპის უნარების, კომპეტენციების, ცოდნისა და ღირებულებების განვითარებას, რომ შეძლონ საერთაშორისო საზოგადოებაში საკუთარი თავის დამკვიდრება და საზოგადოებრივი წვლილის შეტანა არა მხოლოდ ადგილობრივ, არამედ გლობალურ დონეზეც, რაც ნიშნავს ინტერნაციონალიზაციის პროცესში მონაწილეობას;

გ) ორიენტირი კულტურაზე - ორიენტაცია კულტურის, გარემოსა და ისეთი ღირებულებების ჩამოყალიბებაზე, რამაც უნდა უზრუნველყოს საერთაშორისო და ინტერკულტურული შესაძლებლობებისა და ინიციატივების განვითარება;

დ) ორიენტირი გამოცდილების გაზიარებაზე - საერთაშორისო და ინტერკულტურული გამოცდილების გამოყენება სწავლების, კვლევისა და სერვისის მიწოდების სფეროში მრავალფეროვანი მოქმედებების, პოლიტიკისა და პროცედურების ერთობლიობით;

ე) ორიენტირი ხელმისაწვდომობაზე - გულისხმობს ინფორმაციის დაინტერესებულ პირამდე ხელმისაწვდომობას (უნივერსიტეტის ვებ-გვერდი, სოციალური გვერდი, სტუდენტური ბაზა, ინდივიდუალური კონსულტაციები).

3. ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის განხორციელების კრიტერიუმები

ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის განსახორციელებლად უნივერსიტეტი იყენებს NVAO-ის (Nederlands-Vlaamse Accrediteringsorganisatie) ექვს სტანდარტს/კრიტერიუმს:

ა) მმართველობა - უნივერსიტეტს აქვს ინტერნაციონალიზაციის ხედვა და პოლიტიკა, რომელიც გაზიარებულია თანამშრომლების მიერ და ყველა ჩართული პირი იყო მისი მიღების მონაწილე. ინტერნაციონალიზაციის ხედვა და პოლიტიკა მოიცავს შემოწმებად მიზნებსა და საზომებს, რომელთა ელემენტები ფასდება პერიოდულად და ხელს უწყობს განვითარებისთვის აუცილებელი კრიტერიუმების ჩამოყალიბებას;

ბ) სწავლის შედეგები - ინტერნაციონალიზაციის ხედვა და პოლიტიკა ადეკვატურად არის ასახული პროგრამის სწავლის შედეგებში და კურსდამთავრებულის სწავლის შედეგები დაკავშირებულია ინტერნაციონალიზაციის ხედვასა და პოლიტიკასთან;

გ) პროგრამა - პროგრამის, კურიკულუმის საგანმანათლებლო მიზნები და სტუდენტთა შეფასება დაკავშირებულია ინტერნაციონალიზაციის ხედვასა და პოლიტიკასთან და სწავლის შედეგებთან;

დ) თანამშრომლები - უნივერსიტეტის პროგრამების განხორციელებაში ჩართული პირების კომპეტენციები მიღწევადს ხდის პროგრამით განსაზღვრულ სწავლის შედეგებს. ჩართულ პირებს აქვთ სათანადო საერთაშორისო გამოცდილება, ინტერკულტურული კომპეტენციები და ენის ცოდნა, რაც რეალურს ხდის პროგრამით განსაზღვრული სწავლის

შედეგების მიღწევას. ჩართული პირების გადამზადების პოლიტიკა დაკავშირებულია უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის ხედვასა და პოლიტიკასთან;

ე) **მომსახურება** - სტუდენტთა მომსახურება (საზღვარგარეთ სწავლისთვის) შესაბამისობაშია ინტერნაციონალიზაციის ხედვასა და პოლიტიკასთან და სწავლის შედეგებთან. საერთაშორისო სტუდენტთა მომსახურება შეესაბამება ინტერნაციონალიზაციის ხედვასა და პოლიტიკას;

ვ) **სტუდენტები** - ჩართული სტუდენტებისთვის დაძლევადია სწავლის შედეგები. სტუდენტთა მობილობა შეესაბამება ინტერნაციონალიზაციის ხედვასა და პოლიტიკას.

4. საბაუნის საერთაშორისო თანამშრომლობა დღეს

1. საბაუნი დაარსების დღიდან (2001 წ.) აქტიურადაა ჩართული ინტერნაციონალიზაციის პროცესში, რაც ძირითადად მოიცავდა უცხოელი პროფესორების მოწვევას/ჩართვას სასწავლო პროცესში, საერთაშორისო კონფერენციებისა და სიმპოზიუმების ორგანიზებას, უცხოელი პროფესორებისა და მომხსენებლების მონაწილეობით, ინგლისურენოვანი პროგრამის შექმნასა და მასში უცხოელი სტუდენტებისა და პროფესორების ჩართვას. შესაბამისად, ინტერნაციონალიზაცია უნივერსიტეტისათვის ერთ-ერთი სტრატეგიული მიმართულებაა.

2. დღეისათვის უნივერსიტეტი თანამშრომლობს ევროპის, ამერიკის, აზიისა და აფრიკის 65-ზე მეტ უნივერსიტეტთან. თანამშრომლობა მოიცავს სტუდენტების, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის მობილობას, ერთობლივი პროექტების დაგეგმვა-განხორციელებას, მოკლევადიან პროექტებს (ტრენინგები, კურსები, საჯარო ლექციები, ვორქშოპები), საერთაშორისო კვლევით პროექტებში მონაწილეობას, საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებასა და დანერგვას.

3. უნივერსიტეტი აქტიურადაა ჩართული ევროკომისიის მიერ დაფინანსებული Erasmus+ აქტივობა 1-ის (KA1) ფარგლებში დაფინანსებულ საერთაშორისო კრედიტების მობილობის პროგრამაში, ასევე, Erasmus+ KA2 ინსტიტუციური მხარდაჭერის პროექტებში.

4. საბაუნის სტუდენტებს საშუალება აქვთ, ისარგებლონ, ექსკლუზიურად საბაუნის სტუდენტებისათვის განკუთვნილი ევროპის კათოლიკური უნივერსიტეტების ფედერაციის (FUCE) მიერ დაწესებული სასწავლო გრანტით (ერთი სემესტრის მანძილზე ფედერაციის წევრ უნივერსიტეტებში სწავლის დაფინანსებით).

5. უნივერსიტეტის ადმინისტრაციასა და აკადემიური პერსონალისათვის ხელმისაწვდომია ნოტრ დამის (აშშ) უნივერსიტეტის ნანოვიკის ევროპისმცოდნეობის ინსტიტუტის მიერ ორგანიზებულ მასტერკლასებზე დასწრება და კვლევითი სტიპენდიებით სარგებლობა (ყოველწლიურად გამოყოფილია ადგილები და კვოტა სპეციალურად უნივერსიტეტისთვის).

6. უნივერსიტეტისათვის პრიორიტეტულია საერთო ღირებულებებისა და მიმართულებების მქონე უნივერსიტეტებთან თანამშრომლობა, შესაბამისად, 2018 წლიდან ის გაწევრიანდა კათოლიკური უნივერსიტეტების საერთაშორისო ფედერაციასა (IFCU) და ევროპის კათოლიკური უნივერსიტეტების ფედერაციაში (FUCE). 2020 წლიდან საბაუნის სამართლის ფაკულტეტი ევროპის სამართლის ფაკულტეტების ასოციაციის წევრია (ELFA), ხოლო 2025 წელს ფაკულტეტი გაწევრიანდა ევროპული იურიდიული პრაქტიკის ინტეგრირებული კვლევების კავშირში (ELPIS – European Legal Practice Integrated Studies). ამავე წელს, უნივერსიტეტი შეუერთდა სამი ზღვის უნივერსიტეტების ასოციაციას.

სამომავლოდ დაგეგმილია კიდევ რამდენიმე საუნივერსიტეტო ასოციაციასა და ქსელში გაწევრიანება
7. ამ ფედერაციებსა და ასოციაციებში გაწევრიანებით, უნივერსიტეტი სარგებლობს განსაკუთრებული შემოთავაზებებით, ფედერაციების მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში (ტრენინგები, სტიპენდიები, კონფერენციები და ა.შ.) უნივერსიტეტის წარმომადგენლები უსასყიდლოდ ან მნიშვნელოვანი ფასდაკლებით მონაწილეობენ.
8. ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის წარმატებით განხორციელებისათვის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების მენეჯერი აქტიურად თანამშრომლობს აკადემიურ საბჭოსთან, ფაკულტეტებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან.

5. ინტერნაციონალიზაციის მექანიზმები

უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პროცესის ხელშემწყობის მექანიზმებია:
ა) სტუდენტებისა და პერსონალის მობილობის ხელშეწყობა;
ბ) აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა;
გ) საგანმანათლებლო პროგრამების ინტერნაციონალიზაცია, ერთობლივი პროექტების/პროგრამების დაგეგმვა/ორგანიზება;
დ) საერთაშორისო სტუდენტებისა და პერსონალის მოზიდვა და ჩართვა საუნივერსიტეტო პროგრამებში;
ე) უნივერსიტეტის საერთაშორისო თანამშრომლობის არეალის გაფართოება, ცნობადობის გაზრდა საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში საუნივერსიტეტო ქსელებში გაწევრიანება;
ვ) ინოვაციასა და კვლევაზე ორიენტირებულ საერთაშორისო პროექტებში ჩართვა;
ზ) საუნივერსიტეტო სარეიტინგო სისტემებში პოზიციონირების გაუმჯობესება.

6. სტუდენტებისა და პერსონალის მობილობის ხელშეწყობა

უნივერსიტეტი:
ა) ხელს უწყობს პერსონალისა და სტუდენტების საგანმანათლებლო განვითარებას, აქტიურად ავითარებს საერთაშორისო თანამშრომლობის შესაძლებლობებს სტუდენტების, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის მობილობისა და გაცვლითი პროექტების მიმართულებით;
ბ) აქტიურად მონაწილეობს ევროკომისიის მიერ დაფინანსებულ საგრანტო პროექტში Erasmus+ KA171-ში (ICM – International Credit Mobility), მხარს უჭერს Erasmus+ KA171 პროგრამაში ყველა საგანმანათლებლო პროგრამის ჩართულობას;
გ) სარგებლობს ექსკლუზიური სასტიპენდიო პროგრამით სტუდენტებისათვის (FUCE Scholarship, KAAD სადოქტორო პროგრამის სტუდენტებისათვის);
დ)სტუდენტების/პერსონალის გაცვლასთან დაკავშირებით პარტნიორ უნივერსიტეტებთან დებს საერთაშორისო მემორანდუმებს, რომელთა ფარგლებში სტუდენტები თავისუფლდებიან სწავლის და რიგ შემთხვევაში, საცხოვრებლის საფასურისგან;
ე) მოიძიებს სხვადასხვა ევროპული ქვეყნის მთავრობისა და ფონდების სასტიპენდიო პროგრამებს სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისათვის და უზრუნველყოფს მათ გავრცელებასა და განხორციელებას;

ვ) მუშაობს უცხოელ კოლეგებთან სტუდენტებისა და პერსონალის BIP (Blended Intensive Program) პროგრამაში ჩასართავად;
ზ) გაცვლით პროგრამებში მონაწილე სტუდენტები შეირჩევიან სპეციალური წესის შესაბამისად (დანართი 1).

7. აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა, კვლევაზე ორიენტირებულ ინოვაციურ პროექტებში მონაწილეობა

უნივერსიტეტი:
ა) მხარს უჭერს აკადემიური პერსონალის კვლევითი საქმიანობის განვითარებას და მათ საერთაშორისო კვლევებში ჩართულობას; გეგმავს და ახორციელებს ყოველწლიურ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებს, სიმპოზიუმებს;
ბ) მოიძიებს ინფორმაციას ქვეყნის გარეთ დაგეგმილი სამეცნიერო კონფერენციების შესახებ და უზრუნველყოფს დაინტერესებულ პირთა ინფორმირებას;
გ) მოიძიებს უცხოეთის წამყვანი უნივერსიტეტებისა და ფონდების დაფინანსებას ინდივიდუალური კვლევითი პროექტებისათვის ხელს უწყობს აკადემიური პერსონალისა და მკვლევრების მობილობას;
დ) ახორციელებს პერსონალის გაცვლას კვლევითი მობილობის ფარგლებში პარტნიორ უცხოურ უნივერსიტეტებთან;
ე) მოიძიებს საერთაშორისო და ადგილობრივი დონორების დაფინანსებას ერთობლივი კვლევითი პროექტებისთვის;
ვ) ხელს უწყობს პერსონალის შრომების გამოცემას საერთაშორისო კვლევით ჟურნალებში;
ზ) გამოსცემს ინგლისურენოვან პუბლიკაციებს, ჟურნალებს ;
თ) მოიძიებს ინფორმაციას ქვეყნის გარეთ დაგეგმილ საერთაშორისო კვლევითი პროექტებისა და კვლევითი გრანტების შესახებ და უზრუნველყოფს მათ დაინტერესებულ პირამდე მიტანას;
ი) თანამშრომლობს შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდთან;
კ) აფინანსებს საერთაშორისო კონფერენციებსა და პროექტებში პერსონალის მონაწილეობას;
ლ) მონაწილეობას იღებს Erasmus+ KA2, Jean Monnet, Horizon, Marie Sklodowska Curie Actions და სხვა პროექტებში;
მ) გაცვლით პროგრამებში მონაწილე აკადემიური, ადმინისტრაციული და სამეცნიერო პერსონალი შეირჩევა სპეციალური წესის შესაბამისად (დანართი 1).

8. საგანმანათლებლო პროგრამების ინტერნაციონალიზაცია, ერთობლივი პროექტების/პროგრამების დაგეგმვა/ორგანიზება

უნივერსიტეტი:
ა) საგანმანათლებლო პროგრამების ინტერნაციონალიზაციის მიზნით, პროგრამებში ამატებს ინგლისურ ენაზე შეთავაზებულ სასწავლო კურსებს/ მოდულებს;

ბ) ბაზრის მოთხოვნიდან გამომდინარე მუშაობს ინგლისურენოვანი პროგრამების დამატებაზე როგორც საბაკალავრო, ისე სამაგისტრო სწავლების საფეხურზე;

გ) საგანმანათლებლო პროგრამების სილაბუსებში უთითებს უცხოენოვან ძირითად და დამხმარე ლიტერატურას;

დ) საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში ჩართვის მიზნით იწვევს უცხოელ პროფესორებს;
ე) გეგმავს საერთაშორისო პარტნიორებთან ერთობლივ საგანმანათლებლო პროგრამებს (მათ შორის, ორმაგი ხარისხის მინიჭებით);
ვ) მოიძიებს საერთაშორისო დონორების დაფინანსებას ერთობლივი პროექტების განსახორციელებლად (სტუდენტებისა და პერსონალის სასწავლო ვიზიტები, სემინარები, კვლევითი პროექტები);
ზ) ხელს უწყობს უნივერსიტეტის სტუდენტების მონაწილეობას პარტნიორი უნივერსიტეტების მიერ ორგანიზებულ სემინარებში, აკადემიურ ღონისძიებებში, საზაფხულო სკოლებსა და ბანაკებში (უფასოდ ან სპეციალური პირობებით)
თ) ხელს უწყობს აკადემიურ პერსონალს ჩაერთონ COIL (Collaborative Online Intensive Learning) პროგრამაში უცხოელ კოლეგებთან ერთად.

9. საერთაშორისო სტუდენტებისა და პერსონალის მოზიდვა და ჩართულობა საუნივერსიტეტო პროგრამებში

9.1. უცხოელი სტუდენტების უნივერსიტეტში მოსაზიდად უნივერსიტეტი იყენებს საგანმანათლებლო ბაზრის კვლევებს, არსებულ საერთაშორისო სტუდენტებთან კომუნიკაციის არხებს, სამიზნე ჯგუფების ადგილობრივი ბაზრის ანალიზს, სამიზნე ქვეყნების თაობაზე სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ ანგარიშებს და ა.შ. კერძოდ კი, უცხოელი სტუდენტების უნივერსიტეტში მოსაზიდად და მათში უნივერსიტეტის პოპულარიზაციის მიზნით უნივერსიტეტი:
ა) მონაწილეობს საერთაშორისო საგანმანათლებლო ფორუმებსა და გამოფენებში როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საზღვრებს გარეთ;
ბ) საჭიროების შემთხვევაში, ხსნის წარმომადგენლობას (ოფისს) სამიზნე ქვეყანაში;
გ) დებს ორმხრივ და მრავალმხრივ შეთანხმებებს უნივერსიტეტებთან სტუდენტთა გაცვლითი პროგრამების თაობაზე;
დ) თანამშრომლობს ადგილობრივ და საერთაშორისო სააგენტოებთან, ასევე, პერსონალურად აგენტებთან;
ე) საჭიროების შემთხვევაში, მართავს პრეზენტაციებსა და სხვადასხვა გაცნობითი ხასიათის ღონისძიებას სამიზნე ჯგუფებთან, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საზღვრებს გარეთ;
ვ) რეგისტრირდება და ავრცელებს ინფორმაციას სხვადასხვა საგანმანათლებლო ონლაინ პლატფორმაზე;
ზ) უცხოელი სტუდენტების კოორდინაციის, მათი მხარდაჭერისა და ადაპტაციისთვის ნიშნავს უცხოელი სტუდენტების კოორდინატორს;
თ) ადგილობრივ საზოგადოებაში ადაპტაციის მიზნით, უცხოელი სტუდენტებისათვის გეგმავს სოციალურ აქტივობების, აწყობს პერიოდულ საორიენტაციო შეხვედრებს და ახალისებს მათ ჩართულობას საერთაშორისო და უცხოენოვან აკადემიურ და კვლევით ღონისძიებებში;
ი) ორიენტირებულია მაქსიმალურად ჩართოს საქართველოში დროებით ან მუდმივად მცხოვრები უცხოელი პროფესორები როგორც საგანმანათლებლო, ისე კვლევით

საქმიანობაში და ამით მიმზიდველი გახადოს უნივერსიტეტი საერთაშორისო სტუდენტებისათვის.
9.2. საზღვარგარეთიდან უცხოელი პროფესორის მოსაზიდად გამოიყენება შემდეგი მექანიზმები:
ა) უნივერსიტეტის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის პირადი კონტაქტი;
ბ) პარტნიორ უნივერსიტეტებთან ორმხრივი შეთანხმებები;
გ) საერთაშორისო პროექტები და ერთობლივი კვლევა;
დ) საერთაშორისო აკადემიური ღონისძიებები;
ე) ERASMUS + ICM პროექტები და პროგრამები;
ვ) ინტენსიური სემინარები, სამუშაო შეხვედრები და სოციალური ღონისძიებები.
9.3. უცხოელი პროფესორის საუნივერსიტეტო გარემოში ჩართულობისა და ქვეყანაში ადაპტაციის პროცესს საერთო ზედამხედველობას უწევს საერთაშორისო ურთიერთობების მენეჯერი, ხოლო უშუალოდ პასუხისმგებელია შესაბამისი ფაკულტეტი ან კვლევითი ერთეული, რომლის პროგრამის ან ღონისძიების ფარგლებშიც უცხოელი პროფესორი იმყოფება საქართველოში.

10. უნივერსიტეტის საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება, არეალის გაფართოება, ცნობადობის გაზრდა საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში და ინტეგრაცია

10.1. საერთაშორისო ურთიერთობების მენეჯერს აქვს მუდმივი კომუნიკაცია არსებულ პარტნიორებთან უნივერსიტეტის მიმდინარე სიახლეების შესახებ, აცნობს მათ დაგეგმილ ღონისძიებებს და სთავაზობს კონკრეტულ პროექტებში ჩართვას.
10.2. საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებისა და საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში ცნობადობის გაზრდის მიზნით უნივერსიტეტი:
ა) დებს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის უნივერსიტეტთან, განსაკუთრებით კი, საერთო ღირებულებებისა და მიმართულებების მქონე უნივერსიტეტებთან;
ბ) წევრიანდება სხვადასხვა საუნივერსიტეტო ასოციაციასა და ფედერაციაში და ავითარებს თანამშრომლობას ამ საუნივერსიტეტო გაერთიანებებში შემავალ უნივერსიტეტებთან;
გ) მონაწილეობს აღნიშნული ფედერაციების მიერ ორგანიზებულ სხვადასხვა ღონისძიებებზე (გენერალური ასამბლეა, ერთობლივი კონფერენცია, ტრენინგები და მასტერკლასები);
დ) ევრიანდება პროფესიული მიმართულებების მქონე საუნივერსიტეტო ფედერაციებსა და ასოციაციებში;
ე) მონაწილეობს საერთაშორისო ღონისძიებებში, საგანმანათლებლო გამოფენებში, შეხვედრებსა და საერთაშორისო კვირეულებში;
ვ) მასპინძლობს საერთაშორისო კონფერენციებს, სიმპოზიუმებსა და სხვა ღონისძიებებს;
ზ) ბეჭდავს სარეკლამო/საინფორმაციო ბროშურებს, newsletters-ებს და ავრცელებს მათ პარტნიორებში სხვადასხვა თემატური შეხვედრისას;
თ) საერთაშორისო რეპუტაციის ამაღლების მიზნით უნივერსიტეტი ზრუნავს საერთაშორისო საუნივერსიტეტო რეიტინგებში პოზიციონირების გაუმჯობესებაზე

11. ინტერნაციონალიზაციის პროცესების ანგარიშგება და მონიტორინგი

11.1. ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიის ეფექტურ მუშაობაზე პასუხისმგებელია საერთაშორისო ურთიერთობების მენეჯერი, რომელიც წელიწადში ერთხელ (აკადემიური წლის დასაწყისში), ანგარიშს წარუდგენს პრორექტორს, შემდეგ კი – აკადემიურ საბჭოს.
11.2. საერთაშორისო ურთიერთობების მენეჯერის ყოველწლიური ანგარიში ეფუძნება:
ა) ინტერვიუებს;
ბ) მობილობების/საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობის ანგარიშებს
გ) გამოკითხვას (სტუდენტები, აკადემიური /ადმინისტრაციული პერსონალი, კვლევითი ერთეულები;
დ) სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების შეფასებას;
ე) აკადემიური წლის განმავლობაში დაგეგმილს მიღმა განხორციელებულ ღონისძიებების შეფასებას.
11.3. აკადემიური წლის დასასრულს საერთაშორისო ურთიერთობების მენეჯერი ატარებს სტუდენტების, პროფესორების, ადმინისტრაციისა და კვლევითი ერთეულების გამოკითხვას, მათი სამომავლო მოლოდინების თაობაზე (მაისი, ივნისი) საერთაშორისო ურთიერთობების მენეჯერი აფასებს მიმდინარე წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ხარისხს, გამოკითხვებსა და მობილობის ანგარიშებს.
11.4. ინტერნაციონალიზაციის პროცესის მონიტორინგს ახორციელებს აკადემიური საბჭო.
11.5. სასწავლო წლის დასაწყისში საერთაშორისო ურთიერთობების მენეჯერი აკადემიურ საბჭოს წარუდგენს ანგარიშს გასული სასწავლო წლის შესახებ, ასევე, მომავალი წლის სამოქმედო გეგმას.
11.6. აკადემიური საბჭო განიხილავს ანგარიშსა და სამოქმედო გეგმას, დადებითად შეფასების შემთხვევაში ამტკიცებს მათ. წინააღმდეგ შემთხვევაში, იღებს შესაბამის რეკომენდაციებს და შუამდგომლობს უნივერსიტეტის რექტორთან ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით განსახორციელებელი ღონისძიებების თაობაზე.

დანართი 1

გაცვლით/კვლევით პროგრამებში მონაწილე სტუდენტებისა და პერსონალის შერჩევის წესი

1. **გაცვლითი პროგრამების შესახებ ინფორმაციის გავრცელება**

1.1 საერთაშორისო ურთიერთობების მენეჯერი პარტნიორ უნივერსიტეტებთან შეთანხმების საფუძველზე ამზადებს საკონკურსო განცხადებას და ავრცელებს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, სოციალურ ქსელში. გაცვლითი პროგრამით მობილობა მოიცავს ერთ სემესტრს (კონკრეტულ შემთხვევაში შესაძლებელია ერთი აკადემიური წელიც). კონკურსი ცხადდება წელიწადში ორჯერ: შემოდგომით და გაზაფხულზე.
1.2 კონკურსების შესახებ ინფორმაცია სტუდენტებს ეგზავნებათ ელექტრონული ფოსტის და სტუდენტური ბაზის საშუალებით.
1.3 საერთაშორისო ურთიერთობების მენეჯერი მართავს საინფორმაციო შეხვედრას გაცვლითი პროგრამების თაობაზე სტუდენტებისა და პერსონალისათვის. აღნიშნულ შეხვედრაზე საერთაშორისო ურთიერთობების მენეჯერი მოიწვევს წინა წელს სხვადასხვა გაცვლითი პროგრამით მოსარგებლე პირებს, რომლებიც გამოცდილებას უზიარებენ დაინტერესებულ პირებს.
1.4 საერთაშორისო ურთიერთობების მენეჯერი დაინტერესებულ პირებს უწევს ინდივიდუალურ კონსულტაციებს გაცვლით პროგრამებთან დაკავშირებულ საკითხებზე.

2. **გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის პირობები სტუდენტებისათვის**

2.1 საერთაშორისო ურთიერთობების მენეჯერის მიერ გამოცხადებულ საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის მიღება შეუძლია სტუდენტს, რომელსაც:
2.1.1 ერთი აკადემიური წელი დასრულებული აქვს უნივერსიტეტში (მაგისტრატურისა და სადოქტორო პროგრამების შემთხვევაში, შესაძლებელია ჩაერთოს პირველი სემესტრის სტუდენტიც);
2.1.2 აქვს აქტიური სტუდენტის სტატუსი;
2.1.3 ფლობს უცხო ენას B2 დონეზე;
2.1.4 აქვს კარგი აკადემიური მოსწრება (GPA არანაკლებ 2.0);
2.1.5. არ გააჩნია ფინანსური დავალიანება უნივერსიტეტის წინაშე.
2.2 კონკურსში მონაწილეობის მიღება არ შეუძლიათ: პირველი კურსის (ბაკალავრიატის დონეზე) და დამამთავრებელი სემესტრის (სამივე საფეხურზე) სტუდენტებს (მობილობის სემესტრი არ უნდა იყოს დამამთავრებელი სემესტრი). ასევე, მათ, ვისაც აქვს შეფარდებული დისციპლინური სანქცია, უნივერსიტეტის სტუდენტთა ქცევის კოდექსის შესაბამისად.
2.3 უნივერსიტეტების ფაკულტეტებს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე განხორციელებული გაცვლით პროგრამაში მონაწილე სტუდენტები შეიძლება გათავისუფლდნენ სწავლების გადასახადისაგან როგორც მიმღებ უნივერსიტეტში, ისე სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტში.
2.4 სასტიპენდიო პროგრამის მონაწილე სტუდენტები (Erasmus+ KA171, FUCE Scholarship ან სხვა) ვალდებულები არიან სემესტრის დასაწყისში გაიარონ ადმინისტრაციული რეგისტრაცია და გადაიხადონ სწავლის სემესტრის საფასური სრულად.

3. გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის პროცედურები სტუდენტებისათვის

3.1 კონკურსში მონაწილეობის პროცედურები განისაზღვრება შემდეგ ეტაპებად:

- რეგისტრაცია (საბუთების გადაგზავნა საერთაშორისო ურთიერთობების მენეჯერთან);
- ტესტირება უცხო ენაში (მათთვის, ვისაც არ გააჩნია საერთაშორისო სერტიფიკატი);
- გასაუბრება შესარჩევ კომისიასთან;
- პირველადი შედეგების (ნომინირება) გაგზავნა მიმღებ უნივერსიტეტთან და მათ მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღება;
- სასწავლო ხელშეკრულების დადება სტუდენტსა და მიმღებ უნივერსიტეტს შორის;
- საბოლოო დოკუმენტაციის გადაგზავნა მიმღებ უნივერსიტეტში;
- სავიზო პროცედურები;
- გამგზავრება.

3.2. რეგისტრაციისათვის საჭირო დოკუმენტაციას სტუდენტი მის სახელზე გახსნილი უნივერსიტეტის სტუდენტის ელ-ფოსტის ოფიციალური მისამართიდან აგზავნის საერთაშორისო ურთიერთობების მენეჯერის ელ-ფოსტის მისამართზე: ir@sabauni.edu.ge.

3.3. რეგისტრაციისათვის, როგორც წესი, აუცილებელი დოკუმენტებია:

- აკადემიური მოსწრების ბარათი;
- უცხო ენის დამადასტურებელი სერტიფიკატი B2 (TOEFEL, IELTS), ასეთის არსებობის შემთხვევაში;
- სამოტივაციო წერილი ინგლისურ ენაზე;
- კვლევითი გეგმა (სადოქტორო პროგრამის სტუდენტების შემთხვევაში)
- CV Euro pass ფორმატში;
- რეკომენდაცია ფაკულტეტიდან/პროფესორისაგან.
- საზოგადოებრივი ჩართულობის აქტივობებში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- კურიკულუმ გარე აქტივობებში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

შენიშვნა: პარტნიორი უნივერსიტეტის/ორგანიზაციის მოთხოვნების შესაბამისად, შესაძლოა მოთხოვნილი იქნეს დამატებითი დოკუმენტები.

4. გაცვლით პროგრამაში მონაწილე სტუდენტთა შერჩევის პროცედურები და კრიტერიუმები

4.1. გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის მსურველთა დოკუმენტაციას აგროვებს საერთაშორისო ურთიერთობების მენეჯერი, რომელიც უზრუნველყოფს ამ დოკუმენტაციის შესარჩევი კომისიის წევრებისათვის მიწოდებასა და გასაუბრების ჩანიშვნას.

4.2. სტუდენტებს შეარჩევს რექტორის ბრძანებით დამტკიცებული შესარჩევი კომისია, რომლის შემადგენლობაში, როგორც წესი, შედიან: პრორექტორი (თავმჯდომარე), ფაკულტეტის დეკანები (წევრები), კონკურსში გამოცხადებული მიმართულებების პროფესორები (წევრები), სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენელი, გაცვლითი პროგრამით მოსარგებლე ერთი სტუდენტი (წევრი), აკადემიური კვლევის, დაგეგმვისა და განვითარების მენეჯერი (სადოქტორო პროგრამის სტუდენტების შემთხვევაში) და საერთაშორისო ურთიერთობების მენეჯერი (მდივანი).

4.3. შესარჩევი კომისია საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებთან ინდივიდუალური გასაუბრების საფუძველზე აფასებს მათ შემდეგი კრიტერიუმებით:

- აკადემიური მოსწრება - 30 ქულა
- უცხო ენის ცოდნა - 25 ქულა
- მოტივაცია - 25 ქულა
- საზოგადოებრივი ჩართულობის ღონისძიებებში მონაწილეობა - 10 ქულა
- სხვა კურიკულუმ გარე აქტივობებში მონაწილეობა - 10 ქულა

შენიშვნა: პარტნიორი უნივერსიტეტის მოთხოვნების შესაბამისად, კონკრეტულ შემთხვევაში შესაძლებელია დადგინდეს შეფასების განსხვავებული კრიტერიუმები.

4.4 შესარჩევი კომისია სადოქტორო პროგრამის სტუდენტებთან (კვლევითი მობილობის შემთხვევაში) ინდივიდუალური გასაუბრების საფუძველზე აფასებს მათ, როგორც წესი, შემდეგი კრიტერიუმებით:

- კვლევის გეგმა - 3 ქულა
- რელევანტურობა გამოცხადებული მობილობის მიმართულებასთან - 3 ქულა
- მობილობის მოსალოდნელი შედეგები - 3 ქულა
- უცხო ენის ცოდნა - 3 ქულა
- საზოგადოებრივი ჩართულობის ღონისძიებებში მონაწილეობა და სხვა კურიკულუმ გარე აქტივობებში მონაწილეობა - 3 ქულა

(სადაც 1 = საშუალოზე დაბალს; 2 = საშუალოს; 3 = კარგს).

4.5. თანაბარი საკონკურსო ქულების/შეფასების შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება სტუდენტს სოციალურად დაუცველი ოჯახიდან და ასევე, სტუდენტს რომელსაც არასოდეს მიუღია სასწავლო გრანტი უცხოეთში სასწავლებლად.

4.6. შესარჩევი კომისიის შეფასების შემდეგ, საერთაშორისო ურთიერთობების მენეჯერი აჯამებს საერთო შედეგებს, სიის მიხედვით ადგენს აპლიკანტების სიას და უგზავნის მიმღებ უნივერსიტეტს, რომელიც იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას.

4.7. შესარჩევი კომისიის სხდომა ფორმდება ოქმის სახით, რომელსაც აკეთებს საერთაშორისო ურთიერთობების მენეჯერი.

4.8. საბოლოო შედეგები აპლიკანტებს ეგზავნებათ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.

5. მობილობის აღიარება

5.1. მობილობის შედეგად მიღებული კრედიტების აღიარების მიზნით აპლიკანტის საბოლოო შერჩევის შემდეგ სტუდენტს, ფაკულტეტსა და მიმღებ უნივერსიტეტს შორის იდება სასწავლო ხელშეკრულება სასწავლო კურსების მითითებით (როგორც მასპინძელ უნივერსიტეტში, ისე სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტში).

5.2. კრედიტების მაქსიმალურად აღიარების მიზნით, ფაკულტეტის დეკანი და პროგრამის ხელმძღვანელი ინდივიდუალურ კონსულტაციებს უწევს აპლიკანტებს სასწავლო კურსებთან დაკავშირებით.

5.3. გაცვლით პროგრამაში მონაწილე სტუდენტს სემესტრის განმავლობაში შეუძლია აიღოს საშუალოდ 23-30 კრედიტის ეკვივალენტი სასწავლო კურსები.

5.4. უცხოეთში მობილობის დასრულების შემდეგ, მასპინძელი უნივერსიტეტი სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტში უგზავნის ნიშნების ფურცელს არაუგვიანეს 4 კვირისა ელექტრონულად ან ოფიციალურად დამოწმებულ ინფორმაციას აძლევს სტუდენტს საბაუნისთვის მისაწოდებლად.

5.5. ნიშნების ფურცელი სტუდენტმა უნდა წარადგინოს ფაკულტეტზე თავსებადობის ფურცლის მისაღებად, რომელსაც უცხოური უნივერსიტეტის მიერ გაცემული დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებულ თარგმანთან ერთად წარადგენს განათლების ხარისხის ეროვნულ ცენტრში კრედიტების აღიარებისთვის.

5.6. უცხოეთში მიღებული კრედიტების აღიარება ხდება „კრედიტების აღიარების წესის“ შესაბამისად.

6. სხვა სასტიპენდიო პროგრამები და მოკლე ვადიანი პროექტები

6.1. უნივერსიტეტის სტუდენტებს საშუალება აქვთ მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო სასტიპენდიო სასწავლო და კვლევით პროგრამებში. ასეთ შემთხვევაში საერთაშორისო ურთიერთობების მენეჯერი კონსულტაციას უწევს სტუდენტებს, ეხმარება მათ პარტნიორ უნივერსიტეტებთან კომუნიკაციაში და საბუთების მოწესრიგებაში.

6.2. სხვა სასტიპენდიო პროგრამაში მონაწილეობისას, სტუდენტს საშუალება აქვს მიიღოს უცხოეთში მიღებული განათლების აღიარება სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის მიერ. ამ შემთხვევაში მოქმედებს საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში მონაწილეობისას კრედიტების აღიარების წესი.

6.3. სტუდენტებს შეუძლიათ ისარგებლონ სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის პარტნიორი უნივერსიტეტების მიერ ორგანიზებულ საზაფხულო სკოლებსა და ღონისძიებებში.

6.4. პარტნიორთან შეთანხმების საფუძველზე, თუკი უნივერსიტეტმა უნდა წარადგინოს კანდიდატები, პროგრამაში მონაწილეობის მსურველმა სტუდენტებმა უნდა გაიარონ საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში მონაწილეობისათვის დადგენილი პროცედურები.

6.5. კვლევითი მობილობის შემთხვევაში, სტუდენტი კვლევის თემატიკას და მის აღიარებას ათანხმებს სადოქტორო სკოლის ხელმძღვანელთან.

II. უნივერსიტეტის პერსონალის გაცვლით პროგრამებში შერჩევა და მონაწილეობა

7. გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის პირობები აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისათვის

7.1. გაცვლითი მობილობა აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისათვის გულისხმობს უცხოეთის უნივერსიტეტებში მოკლევადიან ვიზიტს, რომლის ხანგრძლივობა შეიძლება იყოს 5 დღიდან 30 დღემდე (შესაძლოა მეტიც, თუ ამას ითვალისწინებს კონკრეტული პროგრამა).

7.2. გაცვლითი პროგრამა Erasmus+ ICM ფარგლებში აფინანსებს პერსონალის მგზავრობისა და ცხოვრების ხარჯებს, წინასწარ ფიქსირებული სტიპენდიის გადაცემით.

7.3. გაცვლითი პროგრამა მემორანდუმების საფუძველზე, ითვალისწინებს მიმღები უნივერსიტეტის მიერ საცხოვრებლით უზრუნველყოფას (სხვა ყველა ხარჯებს ფარავს აპლიკანტი).

7.4. გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის მიღება შეუძლია სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალს, რომელიც აქტიურადაა ჩართული სასწავლო პროცესში, ფლობს უცხო ენას და შეუძლია უცხო ენაზე ლექციის წარმართვა.

7.5. გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის მიღება შეუძლია უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ პერსონალს, რომელსაც უნივერსიტეტში მინიმუმ 1 წლიანი სამუშაო გამოცდილება აქვს, ფლობს უცხო ენას საკომუნიკაციო დონეზე.

8. გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის პროცედურები აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისათვის

8.1. საერთაშორისო ურთიერთობების მენეჯერი აქვეყნებს განცხადებას გაცვლითი პროგრამების შესახებ და შესაბამის ინფორმაციას უგზავნის უნივერსიტეტის აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალს.

8.2. კონკურსში მონაწილეობის პროცედურები განისაზღვრება შემდეგ ეტაპებად:

- რეგისტრაცია (საბუთების გადაგზავნა საერთაშორისო ურთიერთობების მენეჯერთან);
- შესარჩევ კომისიის მიერ აპლიკანტების შერჩევა;
- პირველადი შედეგების (ნომინირება) გადაგზავნა მიმღებ უნივერსიტეტთან და მათ მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღება;
- მობილობის ხელშეკრულების დადება აპლიკანტსა და მიმღებ უნივერსიტეტს (ფაკულტეტი ან დეპარტამენტი, სადაც ხორციელდება მობილობა) შორის;
- საბოლოო დოკუმენტაციის გადაგზავნა მიმღებ უნივერსიტეტში;

8.3. რეგისტრაციისათვის საჭირო დოკუმენტაციას პერსონალი საბაუნის ოფიციალური ელ-ფოსტის მისამართიდან აგზავნის საერთაშორისო ურთიერთობების მენეჯერთან ელ-ფოსტის მისამართზე: ir@sabauni.edu.ge.

8.4. რეგისტრაციისათვის საჭირო დოკუმენტაციად განისაზღვრა:

- უცხო ენის დამადასტურებელი სერტიფიკატი B2 TOEFEL, IELTS; ან ცნობა, რომ აკადემიური პირი ფლობს უნარს წაიკითხოს ლექცია უცხო ენაზე;
- სამოტივაციო წერილი ინგლისურ ენაზე (სადაც ხაზგასმული იქნება ამ მობილობის შედეგად მიღებული გამოცდილების უნივერსიტეტში დანერგვა / გამოყენება);
- აკადემიური პერსონალის შემთხვევაში, პარტნიორი უნივერსიტეტისათვის შეთავაზებული სალექციო კურსის მოკლე აღწერა;
- CV Euro pass ფორმატში;
- რეკომენდაცია ფაკულტეტიდან/უშუალო ხელმძღვანელისგან (ადმინისტრაციული პერსონალის შემთხვევაში).

შენიშვნა: პარტნიორი უნივერსიტეტის/ორგანიზაციის მოთხოვნების შესაბამისად, შესაძლოა მოთხოვნილი დოკუმენტების სია გაიზარდოს.

9. გაცვლით პროგრამაში მონაწილე აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის შერჩევის პროცედურები და კრიტერიუმები

9.1. გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის მსურველთა დოკუმენტაციას აგროვებს საერთაშორისო ურთიერთობების მენეჯერი, რომელიც უზრუნველყოფს ამ დოკუმენტაციის შესარჩევი კომისიის წევრებისათვის მიწოდებას და გასაუბრების ჩანიშვნას.

9.2. აკადემიურ პერსონალს შეარჩევს რექტორის ბრძანებით დამტკიცებული შესარჩევი კომისია, რომლის შემადგენლობაში, როგორც წესი, შედიან: პრორექტორი (თავმჯდომარე), ფაკულტეტის დეკანი (წევრი), ადამიანური რესურსების მენეჯერი (წევრი) და საერთაშორისო ურთიერთობების მენეჯერი (მდივანი).

9.3 ადმინისტრაციულ პერსონალს შეარჩევს რექტორის ბრძანებით დამტკიცებული შესარჩევი კომისია, რომლის შემადგენლობაში, როგორც წესი, შედიან: პრორექტორი (თავმჯდომარე), კანცლერი (წევრი), ადამიანური რესურსების მენეჯერი (წევრი) და საერთაშორისო ურთიერთობების მენეჯერი (მდივანი).

9.4. შესარჩევი კომისია აპლიკანტების დოკუმენტაციის განხილვისა და ინდივიდუალური გასაუბრების საფუძველზე აფასებს მათ შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით:

- უცხო ენაზე ლექციის ჩატარების უნარი (აკადემიური პერსონალი) - 3 ქულა;
- უცხო ენაზე კომუნიკაციის უნარი (ადმინისტრაციული პერსონალი) – 3 ქულა;
- აკადემიური/ადმინისტრაციული საქმიანობა უნივერსიტეტში (თუ რამდენად აქტიურადაა ჩართული საუნივერსიტეტო საქმიანობაში) – 3 ქულა;
- ჩასატარებელი ლექციების შინაარსი (აკადემიური პერსონალი)/ დაგეგმილი ღონისძიებები (ადმინსიტრაციული პერსონალი) 3 - ქულა;
- რელევანტურობა გამოცხადებულ მობილობის მიმართულებასთან - 3 ქულა
- მობილობის მოსალოდნელი შედეგები - 3 ქულა.

(სადაც 1 = საშუალოზე დაბალს; 2 = საშუალოს; 3 = კარგს).

შენიშვნა: პარტნიორი უნივერსიტეტის მოთხოვნების შესაბამისად, შეფასების კრიტერიუმები შესაძლოა შეიცვალოს.

9.5. თანაბარი საკონკურსო შეფასების შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭება საბაუნის აფილირებულ/ადმინისტრაციულ პერსონალს, რომელსაც არ აქვს მონაწილეობა მიღებული გაცვლით პროგრამაში.

9.6. შესარჩევი კომისიის შეფასების შემდეგ, საერთაშორისო ურთიერთობების მენეჯერი აჯამებს საერთო შედეგებს და ამის მიხედვით ადგენს აპლიკანტების სიას, რომელსაც უგზავნის მიმღებ უნივერსიტეტს, რომელიც იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას.

9.7 შესარჩევი კომისიის შეხვედრა ფორმდება ოქმის სახით, რომელსაც აწარმოებს საერთაშორისო ურთიერთობების მენეჯერი .

9.8. საბოლოო შედეგები აპლიკანტებს ეგზავნებათ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.

10. მობილობის აღიარება და ანგარიშგება

10.1. აკადემიური პერსონალის მობილობა მოიცავს პროფესორის მიერ მიმღებ უნივერსიტეტში წინასწარ შეთანხმებული (მობილობის ხელშეკრულება) საათების სალექციო კურსის წაკითხვას.

10.2. ადმინისტრაციული პერსონალის შემთხვევაში მობილობა გულისხმობს მასპინძელ უნივერსიტეტში კოლეგებთან შეხვედრას, მათ სამუშაო დაკვირვებას, გამოცდილებების გაზიარებას ან საერთაშორისო კვირეულში მონაწილეობას.

10.3. მობილობის დასრულების შემდეგ აკადემიური პერსონალის მობილობა ეთვლება სასწავლო აქტივობად.

10.4. ადმინისტრაციული პერსონალის შემთხვევაში, მობილობის პერიოდი აღიარდება როგორც კვალიფიკაციის ამაღლება.

10.5. მობილობის დასრულებიდან არაუგვიანეს ორი კვირისა, გაცვლით პროგრამაში მონაწილე პირი ავსებს მობილობის შესაფასებელ კითხვარს და აგზავნის საერთაშორისო ურთიერთობების მენეჯერთან.

10.6. ადმინისტრაციული პერსონალის მობილობის შემდეგ, უცხოეთში მიღებულ გამოცდილებასა და სიახლეებს აზიარებს თანამშრომლებთან სამუშაო შეხვედრის ფორმატში.

11. ჩამომსვლელი პერსონალის მიღების პროცედურები

11.1. საერთაშორისო ურთიერთობების მენეჯერი აქტიურად თანამშრომლობს პარტნიორ უნივერსიტეტების საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტებთან.

11.2. გაცვლითი პროგრამებით საბაუნიში ჩამოსასვლელად, აპლიკანტმა თავდაპირველად უნდა მიმართოს თავისი უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების განყოფილებას, რომელიც შემდეგ აგზავნის განცხადებებს სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტში კანდიდატების განსახილველად.

11.3. საერთაშორისო ურთიერთობების მენეჯერი მიღებულ დოკუმენტებს აგზავნის შესაბამის ფაკულტეტებთან.

11.4. კონკურსის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება თემის აქტუალურობასა და ფაკულტეტის მოთხოვნებს.

11.5. ადმინისტრაციული პერსონალის შემთხვევაში, თუ წინასწარ არ არის განსაზღვრული მობილობის პოზიციები, პრორექტორი და ადამიანური რესურსების მენეჯერი, საერთაშორისო ურთიერთობების მენეჯერთან ერთად განიხილავენ საკითხს.

11.6. გადაწყვეტილებას საერთაშორისო ურთიერთობების მენეჯერი გასაცნობად უგზავნის პარტნიორ უნივერსიტეტებს (რიგ შემთხვევაში, საბოლოო გადაწყვეტილებას პარტნიორი უნივერსიტეტი იღებს).

11.7. საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ ჩამომსვლელ პერსონალთან კომუნიკაციას აწარმოებს საერთაშორისო ურთიერთობების მენეჯერი კონკრეტული მიმართულების ფაკულტეტთან თანამშრომლობით.

11.8. აკადემიური პერსონალის მობილობის შემთხვევაში, საორგანიზაციო საკითხებზე პასუხისმგებელია საერთაშორისო ურთიერთობების მენეჯერი, ხოლო ფაკულტეტი – სალექციო კურსების დაგეგმვა-განხორციელებაზე.

სტუდენტების შეფასების კრიტერიუმების სისტემა:

აკადემიური მოსწრება ფასდება მაქსიმალური 30 ქულით

ქულა	GPA
21 - 30	3.1 – 4.0
11 - 20	2.1 – 3.0
10	2.0
0-9	1.0-1.9

აპლიკანტი სტუდენტის მოტივაცია ფასდება მაქსიმალური 25 ქულით.

ქულა	აღწერა
25	აპლიკანტს კარგად აქვს გააზრებული გაცვლითი პროგრამის მიზნები, იცნობს მიმღებ უნივერსიტეტს და მის მიერ შემოთავაზებულ სასწავლო კურსებს. გააზრებული აქვს გაცვლითი პროგრამაში მონაწილეობის მნიშვნელობა მის სამომავლო კარიერაში და ჩამოყალიბებულია არჩევანში.
20	აპლიკანტს გააზრებული აქვს გაცვლით პროგრამის მიზნები, ზედაპირულად იცნობს მიმღებ უნივერსიტეტს, თუმცა არ გაცნობია მათ მიერ შემოთავაზებულ სასწავლო კურსებს. მეტ-ნაკლებად გააზრებული აქვს გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის მნიშვნელობა.
15	აპლიკანტს აქვს ზოგადი ინფორმაცია გაცვლითი პროგრამისა და მიმღები უნივერსიტეტის შესახებ, თუმცა არ აქვს ინფორმაცია შემოთავაზებული კურსების შესახებ. ასევე, არ აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მოლოდინი გაცვლითი პროგრამიდან.
10	აპლიკანტს აქვს ზოგადი ინფორმაცია გაცვლით პროგრამაზე, თუმცა არ აქვს ინფორმაცია არც მიმღებ უნივერსიტეტზე, არც კურსებზე და არც ზოგადად გაცვლითი პროგრამების საერთო სარგებელზე.
5	აპლიკანტს აქვს სურვილი პროგრამაში მონაწილეობის, მაგრამ არ აქვს წარმოდგენა არც გაცვლითი პროგრამის, არც მისი შედეგების შესახებ.

ინგლისური ენის ცოდნა ფასდება მაქსიმალური 25 ქულით, რომელიც ეყრდნობა ტესტირების შედეგებს.

ქულა	ტესტირების შეფასება
25	91 - 100
20	81 -90
15	71-80
10	61-70
5	51-60

საზოგადოებრივ და კურიკულუმ გარე აქტივობებში ჩართულობა ფასდება მაქსიმალური 10 ქულით, ქულა მიენიჭება თითოეულ ღონისძიებას. 10 და მეტი ღონისძიების შემთხვევაში, აპლიკანტი შეფასდება მაქსიმალური, 10 ქულით.

დანართები:

1. დანართი N1.1. - გაცვლით პროგრამაში მონაწილე სტუდენტების შესარჩევი კომისიის სხდომის ოქმი
    - ოქმის დანართი #1.1.1. დასწრების ფურცელი
    - ოქმის დანართი #1.1.2. სტუდენტების შესარჩევი ფორმულარი
    - ოქმის დანართი #1.1.3. - კომისიის წევრების მიერ შევსებული მოტივაციის შეფასების ფორმა

- ოქმის დანართი #1.1.4. - გაცვლით პროგრამებში მონაწილეობისთვის კონკურსში მონაწილე აპლიკანტების (სადოქტორო პროგრამის სტუდენტები) შეფასების ფორმა

2. დანართი N1.2 - გაცვლით პროგრამაში მონაწილე აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის შესარჩევი კომისიის ოქმი
3. დანართი N1.3 გაცვლით პროგრამაში (პროგრამის დასახელება) სტუდენტის მონაწილეობის თანხმობა
4. დანართი N1.4 - გაცვლით პროგრამაში მონაწილე აკადემიური / ადმინისტრაციული პერსონალის მობილობის ანგარიშგების ფორმა
5. დანართი N1.5 - გაცვლით პროგრამაში მონაწილე სტუდენტის ანგარიშის ფორმა მობილობის დასრულების შემდეგ
6. დანართი N1.6 - გაცვლით პროგრამაში მონაწილე ჩამომსვლელი აკადემიური / ადმინისტრაციული პერსონალის მობილობის ანგარიშის ფორმა

დანართი N1.1

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი
გაცვლით პროგრამაში მონაწილე სტუდენტების შესარჩევი კომისიის სხდომის ოქმი N____

თბილისი, თვე/რიცხვი/წელი

სხდომას უძღვებოდა: შესარჩევი კომისიის თავმჯდომარე

სხდომას ესწრებოდნენ:

სხდომა გადაწყვეტილებაუნარიანია

სხდომის თავმჯდომარე:

სხდომის მდივანი:

დღის წესრიგი:

შესარჩევი კომისია აფასებს და ახდენს 20XX – 20XX აკადემიური წლის შემოდგომის / გაზაფხულის სემესტრზე გაცვლითი პროგრამის ფარგლებში უცხოეთის პარტნიორ უნივერსიტეტებში წამსვლელი სტუდენტების შეფასებასა და შერჩევა/ნომინირებას.

მოისმინეს:

კომისიის სხდომის წევრებმა მოუსმინეს ყველა აპლიკანტს, შეაფასეს თითოეული მათგანი შეფასების ფურცლებზე და დააფიქსირეს მოსაზრებები.

აზრი გამოთქვეს:

დაადგინეს/გადაწყვიტეს:

შედეგებს დააჯამებს და საბოლოო ფორმას მისცემს საერთაშორისო ურთიერთობების მენეჯერი, რომელიც ნომინირებულ სიას გადაუგზავნის მიმღებ უნივერსიტეტს. საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებს მასპინძელი უნივერსიტეტი.

მხარი დაუჭირა:
წინააღმდეგი:
თავი შეიკავა:

ოქმს თან ერთვის:

1. ოქმის დანართი #1.1.1. დასწრების ფურცელი
2. ოქმის დანართი #1.1.2. სტუდენტების შესარჩევი ფორმულარი
3. ოქმის დანართი #1.1.3. - კომისიის წევრების მიერ შევსებული მოტივაციის შეფასების ფორმა N ცალი
4. ოქმის დანართი #1.1.4. - გაცვლით პროგრამებში მონაწილეობისთვის კონკურსში მონაწილე აპლიკანტების (სადოქტორო პროგრამის სტუდენტები) შეფასების ფორმა

სხდომა დასრულდა _____ საათზე

სხდომის თავმჯდომარე:
სხდომის მდივანი:

ოქმის დანართი #1.1.1

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი
გაცვლით პროგრამაში მონაწილე სტუდენტების შესარჩევი კომისიის სხდომა
დასწრების ფურცელი

წარმოსადგენი დოკუმენტაცია:

- აკადემიური მოსწრების ბარათი;
- უცხო ენის დამადასტურებელი სერტიფიკატი B2 (TOEFEL, IELTS), ასეთის არსებობის შემთხვევაში;
- სამოტივაციო წერილი ინგლისურ ენაზე (200-250 სიტყვა);
- CV Euro pass ფორმატში;
- რეკომენდაცია ფაკულტეტიდან/პროფესორისაგან.

კონკურსში მონაწილეობისათვის მსურველთა რეგისტრაცია დასრულდა ..... (თვე, რიცხვი, წელი).
სულ წარმოდგენილი იყო ------- განაცხადი

სახელი, გვარი	ფაკულტეტი, კურსი	მიმღები უნივერსიტეტი	საბუთები სრულად აქვს წარმოდგენილი

კომისია, შეფასებისას მხედველობაში იღებს სტუდენტის ჩართულობას საუნივერსიტეტო ღონისძიებებში, მისი ოჯახის სოციალურ-ეკონომიკურ სტატუსს და გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის გამოცდილებას. თანაბარი პირობების შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭება სტუდენტს სოციალურად დაუცველი ოჯახიდან და ასევე, სტუდენტს რომელსაც არ აქვს მიღებული სასწავლო გრანტი უცხოეთში.

N	კომისიის წევრის სახელი, გვარი	პოზიცია	ხელმოწერა

ოქმის დანართი #1.1.2.

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი

შესარჩევი კომისია

გაცვლით პროგრამებში მონაწილეობისთვის კონკურსში მონაწილე აპლიკანტების

შეფასების ფორმა

გაცვლითი პროგრამა:

მიმღები უნივერსიტეტ(ებ)ი:

სახელი, გვარი	აკადემიური მოსწრება (მაქსიმ. 30)	ინგლისური ენა მაქს. 25	საზოგადოებრივი ჩართულობის ღონისძიებები (მაქსიმალური 10)	კურიკულუმ გარე აქტივობები (max. 10)	მოტივაცია (max. 25)

აკადემიური მოსწრება ფასდება მაქსიმალური 30 ქულით **ქულა** / **GPA** 21 - 30 / 3.1 – 4.0 11 - 20 / 2.1 – 3.0 10 / 2.0 0-9 / 1.0-1.9	ინგლისური ენის ცოდნა ფასდება მაქსიმალური 25 ქულით (ტესტების შედეგები) **ტესტირების შედეგი** / **ქულა** 91-100 / 25 81-90 / 20 71-80 / 15 61-70 / 10 51-60 / 5

საზოგადოებრივ და კურიკულუმ გარე აქტივობებში ჩართულობა ფასდება მაქსიმალური 10 ქულით, თითო ქულა მიენიჭება თითოეულ ღონისძიებას. 10 და მეტი ღონისძიების შემთხვევაში, აპლიკანტი შეფასდება მაქსიმალური, 10 ქულით.

შენიშვნა:

შესარჩევი კომისიის წევრის სახელი, გვარი:

ხელმოწერა:

თარიღი:

ოქმის დანართი #1.1.3

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი
გაცვლით პროგრამაში სტუდენტების შესარჩევი კომისია
სტუდენტების მოტივაციის შეფასების ფორმა

აპლიკანტის მოტივაცია ფასდება მაქსიმალური 25 ქულით.

სტუდენტის სახელი, გვარი	მინიჭებული ქულა

ქულათა განსაზღვრება:
25 ქულა = ძალიან მოტივირებული, იცნობს უნივერსიტეტს და მის მიერ შემოთავაზებულ სასწავლო კურსებს, ფლობს ინფორმაციას კონკურსისა და პროგრამის შესახებ, კარგად აქვს ჩამოყალიბებული რაში გამოადგება ამ პროგრამაში მიღებული გამოცდილება.
20 ქულა = მოტივირებულია, აქვს ინფორმაცია პროგრამისა და კონკურსის შესახებ, გაცნობილია უნივერსიტეტსა და შემოთავაზებულ კურსებს ზოგადად, ნაფიქრი აქვს ამ პროგრამის სარგებელზე მის სამომავლო კარიერაში, აქვს დიდი სურვილი მონაწილეობის მიღების.
15 ქულა = აქვს დიდი სურვილი მონაწილეობა მიიღოს პროგრამაში, ფლობს ძალიან მწირ ინფორმაციას უნივერსიტეტზე, არ იცნობს შემოთავაზებულ კურსებს, მაგრამ არ არის ჩამოყალიბებული ამ პროგრამის სარგებელზე.
10 = დაბალი მოტივაცია, ფლობს ზოგად ინფორმაციას უნივერსიტეტის შესახებ, არ გაცნობია მიმღები უნივერსიტეტის სასწავლო კურსებს, არ აქვს გააზრებული ამ პროგრამის სარგებელი მის ცხოვრებაში, აქვს პროგრამაში მონაწილეობის სურვილი
5 ქულა = ძალიან დაბალი მოტივაცია, არ იცნობს პროგრამას, არც მიმღებ უნივერსიტეტს.

კომისიის წევრის სახელი, გვარი
თარიღი
ხელმოწერა

ოქმის დანართი #1.1.4.

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი

შესარჩევი კომისია

გაცვლით პროგრამებში მონაწილეობისთვის კონკურსში მონაწილე აპლიკანტების (სადოქტორო პროგრამის სტუდენტები)

შეფასების ფორმა

გაცვლითი პროგრამა:

მიმღები უნივერსიტეტ(ებ)ი:

შეფასების ფორმა: თითოეული აქტივობა ფასდება მაქსიმალური 3 ქულით, სადაც 1 = საშუალოზე დაბალს; 2 = საშუალოს; 3 = კარგს.

სახელი, გვარი	უცხოენა (max. 3)	კვლევის გეგმა (max. 3)	საზოგადოებრივი ჩართულობის ღონისძიებებსა და სხვა კურიკულუმ გარე აქტივობებში მონაწილეობა ((max. 3)	რელევანტურობა (max. 3)	მოსალოდონელი შედეგი (max. 3)	სულ

საზოგადოებრივ და კურიკულუმ გარე აქტივობებში ჩართულობა ფასდება მაქსიმალური 3 ქულით, თითო აქტივობას მიენიება თითო ქულა. 3 და მეტი ღონისძიების შემთხვევაში, აპლიკანტი შეფასდება მაქსიმალური, 3 ქულით.

შენიშვნა:

შესარჩევი კომისიის წევრის სახელი, გვარი:

ხელმოწერა:

თარიღი:

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი
გაცვლით პროგრამაში მონაწილე აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის შესარჩევი კომისიის ოქმი N

სხდომას უძღვებოდა: შესარჩევი კომისიის თავმჯდომარე

სხდომას ესწრებოდნენ:

სხდომა გადაწყვეტილებაუნარიანია

სხდომის თავმჯდომარე:

სხდომის მდივანი:

დღის წესრიგი:

შესარჩევი კომისია აფასებს და ახდენს 20XX – 20XX აკადემიური წლის შემოდგომის / გაზაფხულის სემესტრზე გაცვლითი პროგრამის ფარგლებში უცხოეთის პარტნიორ უნივერსიტეტებში წამსვლელი აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის შეფასებასა და შერჩევა /ნომინირებას.

წარმოსადგენი დოკუმენტაცია:

- უცხო ენის დამადასტურებელი სერტიფიკატი B2 TOEFEL, IELTS; ან ცნობა, რომ აკადემიური პირი ფლობს უნარს წაიკითხოს ლექცია უცხო ენაზე;
- სამოტივაციო წერილი ინგლისურ ენაზე (სადაც ხაზგასმული იქნება ამ მობილობის შედეგად მიღებული გამოცდილების უნივერსიტეტში დანერგვა / გამოყენება);
- აკადემიური პერსონალის შემთხვევაში, პარტნიორი უნივერსიტეტისათვის შეთავაზებული სალექციო კურსის მოკლე აღწერა;
- CV Euro pass ფორმატში;
- რეკომენდაცია ფაკულტეტიდან/უშუალო ხელმძღვანელისგან.

კონკურსში მონაწილეობისათვის მსურველთა რეგისტრაცია დასრულდა .....(თვე, რიცხვი, წელი).
სულ წარმოდგენილია ------- განაცხადი

სახელი, გვარი	ფაკულტეტი /განყოფილება	სტატუსი	აფილირებული	სრულად აქვს წარმოდგენილი საბუთები	აქვს მონაწილეობა მიღებული მსგავს პროგრამაში
N	სამართალი	ასისტენტი	კი	კი	კი / არა

შეფასებისას კომისია აპლიკანტთა ნომინირებისას ითვალისწინებს მის აკადემიურ / ადმინისტრაციულ საქმიანობას, მობილობის მოსალოდნელ შედეგებს და მსგავს პროექტებში მონაწილეობის გამოცდილებას.

შეფასების ფორმა:

სახელი, გვარი	უცხო ენა (max. 3)	აკადემიური /ადმინისტრაციული საქმიანობა საბაუნიში (max. 3)	მობილობის დღის წესრიგი ((max. 3)	რელევანტურობა (max. 3)	მოსალოდონელი შედეგი (max. 3)	სულ

კომისია შეთანხმდა აპლიკანტების ნომინირებულ სიაზე:

1.

2.

3.

მოისმინეს:

აზრი გამოთქვეს:

დაადგინეს/გადაწყვიტეს:

მხარი დაუჭირა:

წინააღმდეგი:

თავი შეიკავა:

ოქმს თან ერთვის:

კომისიის თავმჯდომარე: / .../

კომისიის მდივანი: / .... /

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი

გაცვლით პროგრამაში (პროგრამის დასახელება) სტუდენტის მონაწილეობის თანხმობა

სტუდენტის სახელი, გვარი	
ფაკულტეტი, სემესტრი	
გაცვლითი პროგრამა	
მიმღები უნივერსიტეტი	

აღნიშნულ დოკუმენტზე ხელმოწერით, ვადასტურებ, რომ საერთაშორისო ურთიერთობების მენეჯერმა მომაწოდა სრული ინფორმაცია გაცვლითი პროგრამის, მასში მონაწილეობისას ჩემი ვალდებულებების შესახებ. შესაბამისად, მზად ვარ:

- პატივი ვცე საბაუნისა და მასპინძელი უნივერსიტეტის მიერ შემუშავებულ შიდა რეგულაციებს;
- მობილობის დაწყებამდე დავფარო სემესტრის ღირებულება სრულად (სტიპენდიის შემთხვევაში);
- პროგრამის შესახებ ცნობადობის ამაღლების მიზნით, დავეხმარო საბაუნის და მასპინძელ უნივერსიტეტს მარკეტინგული მასალების შეგროვება/მომზადებაში, კერძოდ:
    - მობილობის პერიოდში, პერიოდულად განვათავსებ სოციალურ ქსელში უცხოეთში გადაღებულ ვიდეოს / ფოტოს სპეციალური მონიშვნით (hash tag);
    - საერთაშორისო ურთიერთობების მენეჯერის მოთხოვნების შესაბამისად, შევავსებ კითხვარს / მოვამზადებ ტექსტს სოციალურ ქსელში გამოსაქვეყნებლად;
    - მობილობის დასრულების შემდეგ, შევავსებ უნივერსიტეტების მიერ წარმოდგენილ ანგარიშს;
    - საჭიროების შემთხვევაში, მონაწილეობას მივიღებ სტუდენტებთან შეხვედრაში, სადაც გავუზიარებ ჩემს გამოცდილებას.

უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების მენეჯერმა მომაწოდა ინფორმაცია, რომ:

დამამთავრებელ სემესტრზე მობილობის შემთხვევაში, უკან დაბრუნების შემდეგ, დავიმატებ ერთ სემესტრს (შესაბამისი საფასურის გადახდით);

მასპინძელ უნივერსიტეტში, საკუთარი სურვილით და ფაკულტეტთან შეთანხმების გარეშე სასწავლო კურსების დამატების შემთხვევაში, ფაკულტეტი იტოვებს უფლებას არ აღიაროს აღნიშნული კურსი.

მობილობის დასრულების შემდეგ, უცხოური უნივერსიტეტის მიერ გაცემული ნიშნების ფურცელი უნდა წარვადგინო ხარისხის განვითარების ცენტრში უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების მიზნით.

უნივერსიტეტმა ჩემი პერსონალური მონაცემები დაამუშაოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.

ვეთანხმები ზემოთ აღნიშნულს.

ხელმოწერა

თარიღი:

დანართი #1.4

გაცვლით პროგრამაში მონაწილე აკადემიური / ადმინისტრაციული პერსონალის მობილობის ანგარიშგების ფორმა

ივსება Google ფორმაში

თბილისი

ანგარიშის მიმღები სუბიექტი	საერთაშორისო ურთიერთობების მენეჯერი; ფაკულტეტის დეკანი, სტრუქტურული ერთეულის უშუალო ხელმძღვანელი
სახელი, გვარი	
ფაკულტეტი /სტრუქტურული ერთეული	
პოზიცია	
გაცვლითი პროგრამის დასახელება	
მასპინძელი უნივერსიტეტი	
მობილობის პერიოდი	
აქტივობის ტიპი: (ლექცია, კონფერენცია, ტრენინგი, ვორქშოპი, საერთაშორისო კვირეული, შეხვედრები:	
ჩატარებული საათების რაოდენობა (აკადემიური პერსონალისათვის)	
მსმენელი სტუდენტების რაოდენობა (დაახლოებით)	

მობილობის შემდეგ (შესაძლებელია რამდენიმე პასუხის მონიშვნა)

☐ გავიუმჯობესე უცხო ენის უნარ-ჩვევები

☐ შევიძინე /გავიუმჯობესე უცხო ენაზე ლექციების წაკითხვის უნარი

☐ გავაფართოვე სანაცნობო წრე და შევიძინე ახალი კონტაქტები

☐ კოლეგებთან საუბრისას გამიჩნდა ერთობლივი პროექტის იდეა

☐ მქონდა საშუალება გამეზიარებინა საკუთარი გამოცდილება კოლეგებთან

☐ კოლეგებისაგან ვისწავლე ახალი მიდგომები, რომელსაც გამოვიყენებ ჩემს საქმიანობაში (სასწავლო / ადმინისტრაციული)

☐ ვარ უფრო მეტად მოტივირებული და მეტად ვაფასებ ჩემს საქმეს საბაუნიში

☐ მაქვს სურვილი უფრო მეტად ვიყო ჩართული სამომავლოდ დაგეგმილ საერთაშორისო პროექტებში

☐ უკეთ გავიცანი მასპინძელი ქვეყანა / ქალაქი

☐ სხვა...

---

1. გთხოვთ მიუთითოთ კონკრეტული 1-2 შედეგი (გაზომვადი) რაც ამ მობილობას ჰქონდა თქვენთვის და უნივერსიტეტისათვის (მობილობის ეფექტურობის დადგენის მიზნით გადავამოწმებთ ერთი წლის შემდეგ, მაგ.: თუ დაიგეგმა რაიმე ტიპის აქტივობა მასპინძელ უნივერსიტეტთან თქვენი ან თქვენს მიერ მოტანილი კონტაქტის მეშვეობით, ან გაეცანით მასპინძელი უნივერსიტეტის საქმიანობას და დანერგეთ ეს სიახლე საბაუნიში და ასე შემდეგ.

- - - - -

2. როგორ შეაფასებთ ამ მობილობას, მოკლედ რომ გაგვიზიაროთ თქვენი შთაბეჭდილებები (რამდენად მნიშვნელოვანი შეიძლება იყოს ეს მობილობა უნივერსიტეტისათვის, ფაკულტეტისათვის, მობილობით მიღებული გამოცდილება როგორ შეიძლება გამოვიყენოთ? რა იყო საინტერესო თქვენთვის?

- - - - - - -

3. მობილობის სუსტი მხარეები, რომლებიც შეიძლება გააუმჯობესოს უნივერსიტეტმა სამომავლოდ.

- - - - -

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი

გაცვლით პროგრამაში მონაწილე სტუდენტის ანგარიშის ფორმა

მობილობის დასრულების შემდეგ

თბილისი

სახელი, გვარი	
ფაკულტეტი	
სემესტრი	
გაცვლითი პროგრამა	
მასპინძელი უნივერსიტეტი	
პერიოდი	

1. რამდენად გამართლდა თქვენი მოლოდინები ამ პროგრამასთან დაკავშირებით (რა გამართლდა და რა არა?)

2. რა იყო ყველაზე მთავარი სარგებელი თქვენთვის ამ პროგრამიდან?

3. რომელი პერსონალური უნარების გაუმჯობესებაში დაგეხმარათ ეს პროგრამა?

4. რომელი პროფესიული უნარების გაუმჯობესებაში დაგეხმარათ ეს მობილობა?

5. რომელ სასწავლო კურსებს გამოყოფდით ყველაზე მეტად? და რატომ?

6. თუ იყო ისეთი სასწავლო კურსი, რომელიც უცხოეთში გაიარეთ და რომ არა ეს გაცვლითი პროგრამა, ვერ გაივლიდით საქართველოში...

7. რა მოგენატრებათ ყველაზე მეტად?

8. შეადარეთ სტუდენტის ცხოვრება საქართველოსა და უცხოეთში ...

9. რა უპირატესობა აქვს გაცვლით პროგრამაში მონაწილეობას? რატომ უნდა მიიღოს სტუდენტმა მონაწილეობა მსგავს პროგრამაში

10. თქვენი რეკომენდაცია სხვა სტუდენტებისათვის, რომლებსაც სურვილი აქვთ მონაწილეობა მიიღონ გაცვლით პროგრამაში

11. დაასრულეთ წინადადება: რომ არა ეს გაცვლითი პროგრამა, მე ....

12. იყო თუ არა რაიმე ტიპის ხარვეზი, რომელიც შეიძლება გაითვალისწინოს / გააუმჯობესოს უნივერსიტეტმა სამომავლოდ? გთხოვთ მიუთითოთ ....

გმადლობთ გულწრფელობისათვის

დანართი #1.6

გაცვლით პროგრამაში მონაწილე ჩამომსვლელი აკადემიური / ადმინისტრაციული პერსონალის მობილობის ანგარიშის ფორმა

ივსება Google ფორმაში

Name, Surname	
Position	
Host faculty / Structural Unit	
Home University	
Name of the Program	
Period of the mobility	

1. Your personal experience from this mobility (what was the main benefit you gain from it?)
   ---
2. Your personal opinion, what is the main benefit of Erasmus+ mobility programs for staff and students?
   ---
3. How fruitful will be this mobility for the both Universities future cooperation (were discussed any ideas for the future cooperation?
   ---
4. Your personal experience about Georgia /Tbilisi

Please, put a tick (✓) in the respective column and write your comments to each question

Preparatory work	yes	no	Comments
Was sufficient information supplied before the Mobility?	☐	☐	
Was the work load prior to the mobility acceptable?	☐	☐	
Did you achieve the tasks you were supposed to deliver before the mobility?	☐	☐	
Were the goals of the meeting achieved?	☐	☐	
Are some goals not met?	☐	☐	
Was the working environment satisfactory?	☐	☐	

1. How would you rank the importance of the Mobility for the successful progress of the Cooperation between our Institutions in a scale from 1 (not important) to 5 (very important)? 1 2 3 4 5

2. What do you consider to be the main strength of your mobility at Sabauni?

3. Were there any weak points?

4. Do you have any remark/suggestion/notes regarding the running ICM project that should be taken into consideration for the future projects?

5. If so, please suggest some measures or ways for solving the problem(s).